

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების

ფაკულტეტის საკონკურსო  
კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ბათუმი

21 ივლისი 2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:  
კომისიის წევრები:

1. თეიმურაზ კეჟერაძე
2. ნოდარ კვიციანი
3. ქეთევან ვაჩიშვილი

საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე: გიორგი დიასამიძე

საპროცედურო კომისიის მდივანი: იამზე ჩიჩუა

კომისიის წევრი: ხათუნა ჯოხაძე

დღის წესრიგი:

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა;
2. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპროცედურო კომისიისგან ინფორმაციის მიღება სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის მიერ შემოტანილი განცხადების თაობაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. კონკურსანტის განცხადებისა და თანდართული საბუთების შესაბამისობის დადგენა ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებასა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №04-01/28 დადგენილებასთან.

1. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა

მოისმინეს: კომისიის წევრის, ქეთევან ვაჩიშვილის ინფორმაცია, რომელმაც აღნიშნა, რომ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცდა ბხსუ-ში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესი, რომლის თანახმად საკონკურსო კომისიამ ხმათა უმრავლესობით უნდა აირჩიოს თავმჯდომარე და მდივანი. გთხოვთ, წარმოადგინოთ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის კანდიდატურები.

#### აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრმა ნოდარ კვიციანი თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოადგინა თეიმურაზ კეყერაძის კანდიდატურა, ხოლო წევრმა ქეთევან ვაჩიშვილმა კომისიის მდივნის თანამდებობაზე წარმოადგინა ნოდარ კვიციანის კანდიდატურა.

კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით მხარი დაუჭირეს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე თეიმურაზ კეყერაძის, ხოლო საკონკურსო კომისიის მდივნად ნოდარ კვიციანის არჩევას. თავმჯდომარესა და მდივანს კენჭი ეყარათ ცალ-ცალკე.

#### დაადგინეს:

1. არჩეულ იქნას სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარედ თეიმურაზ კეყერაძე;

2. არჩეულ იქნას სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის მდივნად ნოდარ კვიციანი.

2. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპროცედურო კომისიისგან ინფორმაციის მიღება სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის მიერ შემოტანილი განცხადების თაობაზე და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

მოისმინეს: სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის გიორგი დიასამიძის ინფორმაცია, რომელმაც განმარტა, რომ ბხსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №04-01/28 დადგენილების თანახმად სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე გამოცხადებული იყო ღია კონკურსი 1 აკადემიურ თანამდებობაზე. საბუთების მიღების ვადად განისაზღვრა 2022 წლის 18 ივლისიდან 19 ივლისის პერიოდი, ფაკულტეტზე სულ შემოვიდა 1 განცხადება, თანდართული დოკუმენტებით, რომლებიც მოთავსებული იქნა კონკურსანტისათვის განკუთვნილ კონვერტში. ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ბხსუ-ში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის 5.2 პუნქტის თანახმად, საპროცედურო კომისია ვალდებულია ზემოთ მითითებული დოკუმენტაცია გადასცეს ფაკულტეტის საკონკურსო კომისიას, რაზედაც უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი.

#### აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საპროცედურო კომისიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მიღებულ იქნას და შემდგომში საკონკურსო კომისიამ იმოქმედოს კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად.

#### კომისიის წევრებმა ერთხმად დაადგინეს:

1. საპროცედურო კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. საკონკურსო კომისიამ მიიღოს კონკურსანტის განცხადება და თანდართული დოკუმენტები მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ საპროცედურო კომისიამ დატოვა საკონკურსო კომისიის სხდომა.

3. კონკურსანტის განცხადებისა და თანდართული საბუთების შესაბამისობის დადგენა ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებასა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №04-01/28 დადგენილებასთან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ განუმარტა კომისიის წევრებს, რომ ბხსუ-ში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების წესის 5.3. პუნქტის შესაბამისად უნდა დადგინდეს კონკურსანტთა სია, რომლებიც ამ წესისა და კონკურსანტისათვის დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად მონაწილეობას მიიღებენ კონკურსში და იმ კონკურსანტთა სია, რომლებიც კონკურსის პირობებთან არათავსებადობის გამო მოიხსნებიან კონკურსიდან.

აზრი გამოთქვას:

კომისიის მდივანმა აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა კონკურსანტის - ბექა ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც თავსებადია საკონკურსო პირობებთან.

განისაზღვრა, რომ კონკურსანტ ბექა ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია თავსებადია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებასა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №04-01/28 დადგენილებასთან.

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. მიღებული იქნას ცნობად კომისიის წევრების ინფორმაცია.
2. დამტკიცდეს კონკურსანტი, რომლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია თავსებადია ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 23 მაისის №05-01/01 გადაწყვეტილებასა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 16 ივნისის №04-01/28 დადგენილებასთან:

1. ბექა ბოლქვაძე

3. ოქმი გამოქვეყნდეს ბხსუ-ს და ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და განთავსდეს ვებგვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე:



თეიმურაზ კვეერაძე

მდივანი:



ნოდარ კვირიკველია